საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიდგორის არქეოლოგიური ძეგლები

დიდგორის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროის ძეგლები დიდგორის ველზე.

გათხარეს 1975. ყველაზე ადრეულია გვიანდ. ნეოლითის ხანის ნასახლარი. ადგილ გრძელ ველზე, დიდგორიდან სოფ. ღვევისაკენ (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) მიმავალი გზის პირას გაითხარა 3 ყორღანი. სავარაუდოა, რომ სამივე ძვ. წ. III ათასწლ. ბოლო საუკუნეებისაა.

სოფ. ტაბარუკიდან (მცხეთის მუნიციპალიტეტი) დიდგორზე მიმავალი გზის პირას გაითხარა ქვაყრილიანი ყორღანი, რ-იც აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის მიხედვით, ძვ. წ. XV–XIV სს-ით თარიღდება. ძეგლი გვიანდ. ბრინჯაოს ხანის იმ არქეოლ. კულტურის წრეს მიეკუთვნება, რ-იც ძირითადად გავრცელებული იყო ქვემო ქართლში, კახეთში, დას. აზერბაიჯანსა და სომხეთში. საკუთრივ დიდგორის ბორცვი ბუნებრივი წარმოშობისაა. მის ძირზე არის ფეოდ. ხანის ნასახლარი, თხემზე კი – სალოცავი ხატი.

1990 აქ აღიმართა დიდგორის ბრძოლის მემორიალი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი, არქიტექტორი თ. გუნია).

მ. დათაშვილი